განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.05.2020

თბილისი

2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851545 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | - |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კვალიფიკაცია არ ენიჭება |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ჩოკორაია, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია 2013 წელს გაიარა. 2019 წლიდან შემუშავდა სრულიად ახალი პროგრამა ახალი დარგობრივი მახასიათებლის, აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას (ქართული ენის ზოგადი კურსი 1 (მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა)(A), ქართული ენის ზოგადი კურსი (მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა)1 (B), ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 – A, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 – B, წერილობითი კომუნიკაცია, წერილობითი კომუნიკაცია, დარგობრივი ენის კურსი, გაიცანი საქართველო, ქართული ენის ზოგადი კურსი 2, ენა სიტუაციურ გარემოში 1, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2). სასწავლო კურსები სტუდენტს დაეხმარება, როგორც ინტერკულტურული, ისე ქართული კულტურული ღირებულებების გამომუშავებაში. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მიზნად არ ისახავს კვალიფიკაციის მინიჭებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 02 აპრილის №326902 (ცვლილება - №341914, 16/04/2020) ბრძანების თანახმად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შეფასდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ: თამარ ჩოკორაია, ხვთისო მამისიმედიშვილი.

დისტანციურ შეფასებამდე, აკრედიტაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. შეფასება ჩატარდა 2020 წლის 22 აპრილს. ექსპერტები, დისტანციური შეფასების ფარგლებში, გაესაუბრნენ სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციას

(რექტორს - გიორგი გუგუშვილს, კანცლერს - კახა ტრაპაიძეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს - ნინო ღაღანიძეს, ბიბლიოთეკის დირექტორს - ნინო გუჯაბიძეს, ბიბლიოთეკის დიგიტალიზაციის სპეციალისტს - მაია ოსაძეს), თვითშეფასების ჯგუფს (ფაკულტეტის დეკანს - ნინო ჭოღოშვილს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს - ანა კლდიაშვილს, პროგრამის ხელმძღვანელს - ირინე არჯევანიძეს და მასწავლებელს - ანა ზაბლუანს), ასევე მოწვეულ ლექტორებს (ნანა სოლოღაშვილს, მარი ბედოშვილს, ზეინაბ ედიბერიძეს), სხვა პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს (ვინაიდან პროგრამას მხოლოდ 1 კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთან დაკავშირებაც ვერ მოხერხდა).

შეხვედრებზე განხილულ იქნა სამხატვრო აკადემიის პოზიცია სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შინაარსობრივ-სტრუქტურული საკითხები, სილაბუსების თემატიკა, პროგრამით გათვალისწინებული შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია და სხვა საკითხები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასებისთვის. ექსპერტები ასევე გაეცნენ საბიბლიოთეკო რესურსებს ბმულებისა და ელექტრონული წიგნადი ფონდის სახით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას და ნათლად და ლოგიკურადაა გაწერილი. პროგრამა არის სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართული, ეფუძნება პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემოქმედებითი ტური და ზოგადი უნარების ტესტი მშობლიურ ენაზე.

პროგრამამ 2013 წელს გაიარა აკრედიტაცია, თუმცა წლების განმავლობაში მხოლოდ 1 კურსდამთავრებული ჰყავს. 2019 წელს ხელახლა შემუშავდა ახალი სტანდარტებისა და დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე. სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციამ გამოხატა მზაობა სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვასთან დაკავშირებით. მათ ისაუბრეს წინა წლის აქტივობებზე (საინფორმაციო კამპანია და რეგიონებში დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები) და სამომავლო გეგმებზე ამ მიმართულებით (მათ შორის ონლაინპლატფორმის გამოყენებით). ეს საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს დაეხმარება სამოქალაქო

ინტეგრაციასა და გაზრდის მათ წვლილს სახელოვნებო მიმართულებით სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის ყველა სტანდარტთან. პროგრამის გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს რამდენიმე რჩევა.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ეხმიანება სახელოვნებო განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, თუმცა სასურველია დარგობრივი ენის კურსში აქცენტი გაკეთდეს ისეთი დარგობრივი ლექსიკის შესწავლაზე, რომელიც სტუდენტს მოამზადებს სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო საფეხურისათვის.
2. სასურველია საგნების სპეციფიკის გათვალისწინება შეფასებისა და გამოკითხვის ფორმაში.
3. სასურველია, სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობის შეთავაზება (ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ).
4. სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას სამი მიმართულებით: სტუდენტს განუვითარებს ენობრივ კომპეტენციებს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებით B2 დონეზე; გამოუმუშავებს იმ აკადემიურ უნარებს, რომელიც აუცილებელია საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის; განუვითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას, რათა მან შეძლოს სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში.<br>აღნიშნული მიზნების მისაღწევად 60 კრედიტიან პროგრამაში განსაზღვრულია ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების დაუფლებას ინტეგრირებულად - მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის, ასევე სხვა ლინგვისტური კომპეტენციებისა და ინტერკულტურული ღირებულებების განვითარების წინამდებარე პროგრამა შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება სამხატვრო აკადემიის მისიას და ნათლად და ლოგიკურადაა გაწერილი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემოქმედებითი ტური და ზოგადი უნარების ტესტი მშობლიურ ენაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; |

- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან №7-03.12.2019

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ლოგიკურია და რეალისტური. პროგრამაში გათვალისწინებულია პრეტესტი და პირველი სემესტრის საგნებში A და B ტიპის სირთულის სილაბუსები, რათა სტუდენტები ჯგუფებში გადანაწილდნენ მათი ენობრივი კომპეტენციების შესაბამისად. სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამაში გაწერილი შედეგების მიღწევას. ხოლო სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციების გამომუშავებასა და ასევე სახელოვნებო განათლებასთან დაკავშირებული ლექსიკის დაუფლებას. პროგრამის შედეგები სავსებით შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს, პროგრამა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი მიიღებს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს და ის იქნება მზად სრულფასოვნად გააგრძელოს სწავლა საბაკალავრო საფეხურზე. სამხატვრო აკადემიაში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტთა მიღებული შეფასებების მონიტორინგი და ანალიზი. მონაცემების ანალიზი მიზნად ისახავს იმის გაგებას, თუ რამდენად შედეგიანია სწავლების პროცესი კონკრეტულ დისციპლინაში. აღნიშნულის საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთაც აცნობს კონკრეტული სასწავლო კურსის პროფესორს. რეკომენდაციები ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შექმნასა და გაუმჯობესებაზე იზრუნა თვითშეფასების ჯგუფმა. სტუდენტთა არარსებობის გამო, სტუდენტთა შეფასებები ვერ აისახვა აღნიშნულ პროგრამაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- პროგრამის თვითშეფასება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად: შემოქმედებითი ტურისა და მშობლიურ ენაზე უნარების ტესტის ჩაბარების საფუძველზე. ამრიგად, პროგრამაზე დაიშვებიან შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის პირები, რომლებიც მზად არიან დაძლიონ პროგრამით გათვალისიწინებული მიზნები და მიაღწიონ გაწერილ შედეგებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია სამხატვრო აკადემიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული მეთოდოლოგიის

| |
|---|
| მიხედვით, დაწესებულება პროგრამის შემუშავებისას ითვალისიწნებს შემდეგ ფაქტორებს: ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე, დარგის სპეციფიკა, სწავლების აპრობირებული მეთოდების შეხამება თანამედროვე მეთოდებთან, პროგრამისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობა და სხვ. პროგრამა შედგენილია ყველა ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, რათა საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს კარიერული ზრდის საშუალება ჰქონდეთ და მოახერხონ სამოქალაქო ინტეგრაცია.<br>პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურია და თანმიმდევრული. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. პროგრამის მოცულობა და შინაარსი სავსებით შეესაბამება სწავლების საფეხურს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ თსსა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ეხმიანება სახელოვნებო განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, თუმცა სასურველია დარგობრივი ენის კურსში აქცენტი გაკეთდეს ისეთი დარგობრივი ლექსიკის შესწავლაზე, რომელიც სტუდენტს მოამზადებს სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო საფეხურისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ლინგვისტური (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკა და სინტაქსი), სოციოლინგვისტური (მიმართვის ფორმები სხვადასხვა წრისა თუ ფენის საზოგადოებასთან) და პრაგმატული კომპეტენციების (სხვადასხვა სიტუაციასა თუ გარემოში შესაბამისად მოქცევის წესის ცოდნა) მიმართულებით. კურსდამთავრებულს ასევე ექნება ქართული კულტურის, სოციო-კულტურული თავისებურებების შესახებ ცოდნა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში თემატიკა, კრედიტების მოცულობა, სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა ისეა გაწერილი, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა თანამედროვეა, მასში წარმოდგენილია თანამედროვე მეთოდიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თვითშეფასება;

- ○ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- ○ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელოს მომდევნო, საბაკალავრო საფეხურზე. სტუდენტები როლური თამაშებისა და სიმულაციური მეთოდების დახმარებით შეძლებენ ახალი ცოდნის გადატანას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში, რაც მათ განუვითარებს ტრანსფერულ უნარებს. სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის გარე აქტივობებიც (ქალქში ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, სტუდენტთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობის შეთავაზება (ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ეფუძნება ენის სწავლებისა და სწავლის თანამედროვე - კომუნიკაციურ მეთოდს. ენის შესწავლა ხდება კომუნიკაციისას კულტურის აღქმის პარალელურად. ამ მეთოდიკის გათვალისწინებით სამხატვრო აკადმეიის პროგრამაში ენის თეორიულ-გრამატიკული და პრაქტიკულ-საკომუნიკაციო კომპონენტები ინტეგრირებულია. ეს კი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ამავე დროს ქართული კულტურული ღირებულებების გაცნობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებია: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, პრაქტიკული აქტივობა და სხვა. სასწავლო კურსები მორგებულია სტუდენტის საჭიროებებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| სტუდენტის შეფასება ხორციელდება სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება ყოველ სემესტრში და გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სემესტრული შეფასება მიიღება შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების გზით.<br>41-50 ქულის სემესტრული ჯამური შეფასების პირობებში სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს, მაგრამ ეძლევა უფლება გადააბაროს გამოცდა სასწავლო დისციპლინის გამეორების გარეშე მიმდინარე სემესტრში, დადგენილ ვადებში. თუ სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულათა ჯამი არ აღემატება 40 ქულას, სტუდენტი ვალდებულია გაიმეოროს კურსი და დავალიანება დაფაროს დადგენილი წესის მიხედვით. სილაბუსებში შეფასების მეთოდები განსხვავებულია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული საკონსულტაციო და სამუშაო საათები უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. პროგრამის კოორდინატორი სისტემატურად აწვდის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და სხვა სახის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. სტუდენტი მიღებულ შეფასებას ოპერატიულად ეცნობა ელექტრონულ ბაზაში. ასევე ოპერატიულად იღებს უკუკავშირს ლექტორისგან და მასთან ერთად აანალიზებს დაშვებულ შეცდომებს.

გარდა სასწავლო პროცესთან დაკავირებული მხარდაჭერისა, სამხატვრო აკადემიაში მოქმედებს კარიერული წინსვლის სამსახური, რომელიც მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსების, ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სამხატვრო აკადემიის სხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
|---|
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
| --- |
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ხუთი მოწვეული პროფესორი. მათ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან;<br>○ პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი სასწავლო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.<br>პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შედგენისა და შეფასება-განვითარების პროცესში. მას გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. |

- პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შემთხვევაში ის მზად არის უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელებას.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან, აგრეთვე, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საკადრო პოლიტიკა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას და აანალიზებს ამ კვლევის შედეგებს;
- პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება აკადემიაში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.
- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს ტრენინგებს პერსონალისთვის, როგორიცაა საგნის სილაბუსის შედგენის მეთოდიკა, კურიკულუმის განვითარება და ა.შ.
- პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამხატვრო აკადემიის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები.
- ამონაწერი თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოს #50-ე სხდომის ოქმიდან (09.03.2018).
- ამონაწერი თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან #2-19. 09. 2019 და #7-03. 12. 2019.

- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად სამხატვრო აკადემიას აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები; ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა და ა. შ.<br>○ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო წიგნადი ფონდი, მისი ელექტრონული ვერსიები და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს.<br>○ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით.<br>○ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.<br>○ ქართულ ენაში სტუდენტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის ელკატალოგში შეყვანილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ბმულები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ბიბლიოთეკის დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი.
- სამხატვრო აკადემიის დაფინანსების წყაროებს ასევე წარმოადგენს: ეროვნული და საერთაშორისო ფონდების გრანტები; საბიუჯეტო დაფინანსება (მათ შორის სახელმწიფო სტიპენდია); ეკონომიკური საქმიანობით მისაღები სხვა ნებადართული შემოსავალი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია პერსონალის შრომის ანაზღაურება და წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციული სამსახურის პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ახალ რეგულაციებზე გადასვლასთან დაკავშირებით ქართულ ენაში მომზადების ძველ პროგრამას, რომელიც სამხატვრო აკადემიაში შეიქმნა 2013 წელს, არ განუცდია მოდიფიცირება. მის ბაზაზე უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი რეგულაციები.
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს სამხატვრო აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- სამხატვრო აკადემიაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს სამხატვრო აკადემიის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, აგრეთვე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.
- საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინატირები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში, სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებაში. სამხატვრო აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგრეთვე მოიცავს შიდა შეფასების ელემენტებს.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდა როგორც პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი, ისე ადმინისტრაციული პერსონალი.
- შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის დამადასტურებელი აქტივობები. შეფასებები, ანალიზები და რეკომენდაციები;
- თსსა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ძველი პროგრამის ბაზაზე შეიქმნა 2019 წლის დეკემბერში და მას გარე შეფასება ჯერ არ გაუვლია. თუმცა როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და მოწვეულმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მათ ჰქონდათ არაფორმალური კონსულტაციები სხვა უმაღლესი სასწავლებლის (კერძოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის) პროფესორებთან. მათგან მიიღეს რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც გაითვალისწინეს პროგრამის დაგეგმვისა და ჩამოყალიბების პროცესში.<br>○ ფაკულტეტისა და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად კოორდინირებას უწევენ პროგრამის მომზადებას აკრედიტაციის პროცესისათვის. თსსა საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად იყენებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესს.<br>○ სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საქართველოს სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. როგორც თვითშეფასების ჯგუფმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, გარე შეფასებისთვის იგეგმება პროგრამის გაგზავნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>○ ამონაწერი №1 აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან №2-19.09.2019<br>○ ამონაწერი №2 რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან №4. 22-10. 2019.<br>○ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი N1 – 05.11.2019<br>○ ამონაწერი №1 აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან №7-03.12.2019<br>○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:** |

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება საქართველოს სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ○ პროგრამის შეფასებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა სხდომები, დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა გასაუმჯობესებელი მხარეები.<br>○ ამჟამად პროგრამას არ ჰყავს არცერთი სტუდენტი, სამხატვრო აკადემიაში მოქმედი პრაქტიკის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებად გამოიყენება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.<br>○ როგორც სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს აღინიშნა, პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩაატარებს სტუდენტებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვას და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| ○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;<br>○ ამონაწერი №1 აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან №2-19.09.2019<br>○ ამონაწერი №2 რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან №4. 22-10. 2019.<br>○ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი N1 – 05.11.2019<br>○ ამონაწერი №1 აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან №7-03.12.2019<br>○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან. |
| რეკომენდაციები: |
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36**

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ ჩოკორაია 

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ხვთისო მამისიმედიშვილი 